გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

სააქციო საზოგადოება „აჭარის წყლის ალიანსი“-ს აქციონერებს

მის.: ქ. ბათუმი, კონსტანტინე გამსახურდიას ქ. #1, ოფისი 4-7, ს/ნ: 445505178

2026 წლის 30 აპრილს დღის 15 საათზე ქ. ბათუმში, კომახიძის ქ. #119-ში (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს იურიდიულ მისამართზე: ქ. ბათუმი, კომახიძის ქ. #119, IV სართული, სააქტო დარბაზი) გაიმართება სს „აჭარის წყლის ალიანსი“-ს აქციონერთა რიგითი საერთო კრება, შემდეგი დღის წესრიგით:

1. 2024 წლის აუდიტირებული წლიური ფინანსური ანგარიშგების განხილვისა და დამტკიცების შესახებ (მომხსენებელი - საზოგადოების დირექტორი თეიმურაზ ბედინაძე);
2. სს „აჭარის წყლის ალიანსი“-ს 2026 წლის ხარჯების საპროგნოზო მონაცემების (ბიზნეს-გეგმის) დამტკიცების შესახებ (მომხსენებელი - საზოგადოების დირექტორი თეიმურაზ ბედინაძე);
3. სს „აჭარის წყლის ალიანსი“-ს სამეთვალყურეო საბჭოს არჩევის შესახებ (მომხსენებელი - საზოგადოების დირექტორი თეიმურაზ ბედინაძე);

სს „აჭარის წყლის ალიანსი“-ს აქციონერთა რიგითი საერთო კრების სააღრიცხვო დღედ დადგინდეს 2026 წლის 16 აპრილი;

აქციონერთა რეგისტრაცია იწარმოებს დღის 14 საათიდან.

კრებაში მონაწილეობის უფლებისა და თქვენს განკარგულებაში არსებული ხმების რაოდენობის დადგენის შესახებ შეგიძლიათ მიმართოთ სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების გაერთიანებულ რეგისტრატორს“ შემდეგ მისამართებზე: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის 74ა; ქ. ბათუმი, ტბელ აბუსერიძის 11 (საკონტაქტო პირი - ლუიზა ჩიკაშუა, ტელეფონის ნომერი: 599 15-88-06).

სს „აჭარის წყლის ალიანსი“-ს აქციონერთა რიგითი საერთო კრების დღის წესრიგის თითოეულ საკითხთან დაკავშირებით საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორს გააჩნიათ შემდეგი სახის რეკომენდაციები (გადაწყვეტილების პროექტები):

A. აქციონერთა რიგითი საერთო კრების დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით:

- დამტკიცდეს სს „აჭარის წყლის ალიანსი“-ს 2024 წლის წლიური აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილი სახით;

B. აქციონერთა რიგითი საერთო კრების დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით:

- დამტკიცდეს სს „აჭარის წყლის ალიანსი“-ს 2026 წლის ხარჯების საპროგნოზო მონაცემები (ბიზნეს-გეგმა) წარმოდგენილი სახით;

C. აქციონერთა რიგითი საერთო კრების დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით:

- სს „აჭარის წყლის ალიანსი“-ს სამეთვალყურეო საბჭოში არჩეულ იქნას შემდეგი წევრები: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროდან ---------- ----------, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტიდან --------- ---------- და შუახევის მუნიციპალიტეტის მერიიდან ---------- ----------;

სააქციო საზოგადოება „აჭარის წყლის ალიანსი“-ს დირექტორატი